

072  
1955

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



ღღღღღ

თავადი, თურქუ ძეაზნი,  
იღზიზე, იუნი შხარო,  
და შუც, ქორთული, სწავლითა  
სამსოლო კაბანოთა

№ 2 საბავშვო ჟურნალი საქართველოს საბავშვო ჟურნალთა კავშირისათვის

თბილისი  
1955



ილია სინაბულიძე

## საბჭოთა საქართველო

თებერვალში, დიდი ბრძოლის  
ხმა რომ ქუსდა ქარში,  
საქართველო მოძმე ერებს  
ამოუდგა მხარში.

დააღწია თავი ჩაკერხს  
და იმედით სავსე  
ქმურ ოჯახში სტკიცედ დადგა  
კანახლების კსახე.

და მას შეძგე ჰეგვის, ხარობს  
თვალწარმტაცი მხარე;  
ვინც იხილავს იმის ძთა-ბარს,  
კულთი განხარებს.

მას ლენინის და სტალინის  
დროშით წინ სვლა შეენს;  
ეს—მზიური საქართველო  
სამშობლოა ჩვენი!





ა. კონონი

ნახატები ა. მახარაძისა

# „პატარა ჩაპაევი“

669

ჩაპაევის რაზმი ერთ ღიდ სოფელში ისვენებდა.

იმ ქობის გვერდით, სადაც ვასილ ივანეს-ძე დაბინავდა, ლაგუტინების ეზო მოჩანდა. ლაგუტინების ოჯახში ყველაზე უმცროსი გრიშა მესხეთე წელში იყო გადამდგარი.

ერთხელ გრიშა დას გაეპარა და ჩაპაეთან მარტო მივიდა. თავისი დაიკო მას ღიდი ეგონა, რადგან ის მეცამეტე წელში გადამდგარიყო და ომობანას თამაში არ უნდოდა ხოლმე; საერთოდ ის ხომ გოგო იყო, და მასთან საუბარიც კი ბეზრდებოდა გრიშას.

გრიშა ეზოში შევიდა და აუჩქარებლად წინ გასწია. ირგვლივ ბევრი რამ იყო საინტერესო: ბოსელთან ორი შეკაზმული ცხენი იდგა, ცხენები თავს აქნევდნენ, ლაგამს აჩხარუნებდნენ. მტკვრში დაყალიბებდა მარტოდ დარჩენილი ყვითელთვალეზიანი მამალი.

ეზოს ბოლოში, თავლასთან, ეკლები იყო მოდებული; უკ, ერთი ამათვის თავები სახრით წამაწყვეტინა, მიწაზე გაავაწვენდი, როგორც ჩაპაევის ხმალი გაა-

გორებს ხოლმე თეთრებს, — გაიფიქრა გრიშამ.

მაგრამ ეკლების შორიანლო პეტრე ისავეი იჯდა. ფოლადის ძეწკვი გულმკერდზე ეკიდა, ძეწკვის ბოლო რგოლი ნაგანის ტარზე ჰქონდა მიმაგრებული, ხოლო თვითონ ნაგანი ტყავის ფართო ქამრიდან ამოშვეროდა.

ბოხოხიც ისე ჰქონდა კეფაზე გადაწეული, თითქოს ეს-ეს არის გადაუვარდებოა. ბოხოხს ირიბად წითელი ბაფთი ჰქონდა მიკვრებული.

პეტრე ისავეი ზანტად აბაკუნებდა ქუსლებს, აჟღარუნებდა დეზებს და თან გრიშა ლაგუტინის უცქეროდა.

— თქვენ საით, მოქალაქევე? — მკაცრად შესძახა მან. გრიშა შეჩერდა.

— სად იყავი? — უკვე ხმადაბლა შეეკითხა პეტრა, მორზე უფრო მოხერხებულად დაჯდა და შავქარქაშიანი გრძელი ხმალი მუხლებზე დაიდო.

გრიშა შეკრთა, მაგრამ არც თუ ძლიერ დაიბნა, თავს არაფერში გრძნობდა დამნაშავედ, დილიდახვე კარგად იქცეოდა, ყვითელთვალა მამლისთვისაც კი არ მოუქნევია ჯოხი.





— რატომ? — გაიმეორა ისევმა.  
 — რომ სუფთა იყოს. — უპასუხა ბოლოს გრიშამ.  
 — შენ რა გქვია?  
 — ვითომ არ იცი, რომ გრიშკა მქვია.

— ჰოდა, რატომ გქვია გრიშკა? გრიშას უკვე გუნება უფუქლებოდა, მაგრამ უცბად პეტრე წამოხტა და შესძახა:

— გამარჯობათ, ვასილ ივანეს ძე!  
 გრიშამ მოიხედა: კიშკრიდან სახლისაკენ ჩაპავეი მოდიოდა და მხიარულად უწყაპუნებდა წიქვალას თავის მტვრიან ჩექმებს.

— ჰეი, არწივო, რას დაღონებულხარ? — ჰკითხა მან გრიშას.  
 გრიშა ქსიტინებდა და პასუხს არ აძლევდა.

მის წინ ჩაპავეი იდგა, მოხდენილი და ლამაზი, როგორც ყოველთვის. წაბლისფერ ლედეებს გადაესერა მისი ხალათი, ხის მიძიმე ბუდეში ჩამჯდარი რევოლვერი ეკიდა, ჩექმები თასმებით კოხტად ჰქონდა აჭიმული მუხლებთან.

— შენი ხმალი სადღაა? — ჰკითხა ბოლოს გრიშამ.  
 — შინ დავტოვე, აი, მესტუმრები და გაჩვენებ.

— როდის?  
 — როდის მესტუმრო? თუნდაც ახლავე. ხმალზე შეგსვამ, — ცხენადაც გამოიყენებ და იარაღადაც.

ჩაპავემა გრიშას ხელი ჩაჰკიდა და ქოხში წაიყვანა.

კიბესთან მდგომმა გუშაგმა ღიმილით გაატარა ორივე.

ამ დროს გრიშას დამ ლილამ ეზოში შეირბინა და ქოხისაკენ გაექანა.

— ჩაპავეი მოვიდა? — ჰქმენით ჰკითხა მან გუშაგს და კიბეზე ასვლა დააპირა.

გუშაგმა გზა გადაუღობა შაშხანით: — მერე შენ რად გინდა ამხანაგი ჩაპავეი?

— მე მინდა მის რაზმში შევიდე. გუშაგმა გადაიხარხარა:

— რაზმში? ერთი შევიდიოდე წელი უნდა მოითმინო, შვილო, გაიზარდე და მაშინ მოდი რაზმში.

გრიშამ პირში თითი ჩაიღო და ცოცხა ხანს სდუმდა. შემდეგ გაბედა და უპასუხა:

— მდინარეზე ვიყავი, ნასტია ბიცოლასთან ერთად.

— ჰოდა, რატომ?

— თეთრეულის გასაცვლებად.

— მერე და რატომ?

გრიშამ გვერდიდან ცერად შეხედა. კვე ერთი კვირაა, რაც პეტრე ისავეს ცნობს, მაგრამ ვერაფერი გაუგია მისი: ან იცინის, ხან აწვალებს ყოველნაირი ჭკივთხეებით, ზოგჯერ კი შაქარსაც აძლევს.

ახლა პეტრეს მრისხანედ შეეკრა თავისი თხელი, მზეზე გადახუნებული წარები.

გრიშა თან შიშმა აიტანა, თან არც ენდოდა მოშორებოდა იარაღში ჩამდარ კაცს.

— ჰო, „გაიზარდე“! სანამ გავიზარდე-  
ბოდე, ომიც დამთავრდება.

— არ დამთავრდება. ჩვენ უშენოდ  
ვერას ვავხდებით.

გოგონა უცებ დაიხარა, შაშხანის ლუ-  
ლის ქვეშ სწრაფად გაძვრა და კარისაკენ  
გახტა.

— სდექ! — დაუყვირა გუშაგმა.

აივნზე ჩაპავეი გამოვიდა.

— რა ხმაურია?

— აი, ვასილ ივანეს-ძევე, ამ გოგონას  
ჩაპავეელობა სურს. მე კი ვეუბნები: პა-  
ტარა ხარ, ჯერ გაიზარდე-მეთქი.

— ვისი ხარ? — ჰკითხა ჩაპავემა გო-  
გონას. — რა გქვია?

— ლიდა, გვარად ლაგუტინი ვარ.

ვასილ ივანეს-ძემ იცოდა ლაგუტინ-  
ნების ოჯახის ამბავი. პავლე ლაგუტინი  
ურალსკში თეთრების წინააღმდეგ იბრ-  
ძოდა. მისი შვილები ბიცოლა ნასტი-  
ასთან ცხოვრობდნენ. ბიცოლას მაინცა-  
დამაინც არ უხაროდა, რომ მას ორი  
ბავშვის რჩენა მოუხდა. იმ დროს ფრონ-  
ტის ახლომახლო სოფლებში ხალხს პუ-  
რი არა ჰყოფნიდა.

— ჰო, ახლა კი გიცანი, პავლე ლა-  
გუტინი მამაშენია? — ჰკითხა ვასილ ივა-  
ნეს-ძემ.

— ჰო.

— მამ, შემოდი, ლიდა. შენი მამა  
გრიგოლ პავლეს-ძევე ჩემთან არის სტუმ-  
რად.

ლიდა სასტუმრო ოთახში შევიდა თუ  
არა, მაშინვე გულმოსულმა დაუყვირა:

— გრიშკა, ახლავე შინ წადი.

გრიშა გრძელი სკამის გვერდით იდგა,  
სადაც ჩაპავეის ხმალი იდო, და ის-ის  
იყო ემზადებოდა თითოთ მოეხსინჯა  
ხმლის მოვერცხლილი ვადა.

— იფ, როგორ არა, „წადი“! — ჩაი-  
ლაპარაკა მან ბოხი ხმით, — რა ჰკვიანი  
ხარ! შენ თვითონ წადი.

ვასილი ივანეს-ძემ უღვაწები გადა-  
იგრიხა, გაიარ-გამოიარა ოთახში და ჩა-  
ფიქრდა.

— კეთილი, ლიდა, — უთხრა მან ბო-  
ლოს, — მართალია, პატარა კი ხარ, მაგ-



რამ, გეტყობა, ყოჩაღი იქნები, გიშოვით რაზმში საქმეს.

დარჩა და დარჩა ლიდა ლაგუტინი რაზმში.

მებრძოლებმა ის მალე შეიყვარეს და „პატარა ჩაპეველი“ დაარქვეს.

ერთხელ ნებაც კი დართეს ლამის საგუშაგოში წასულიყო.

და იქ განთიადისას, როცა ადამიანს განსაკუთრებით ერევა ძილი, ლიდამ შორს მოძრავი ჩრდილები შეამჩნია. ფრთხილად გახიზნა უკან, თავის ბატალიონისაკენ და წითელარმიელები გააღვიძა; ისინი სწრაფად წამოხტნენ, იარაღი მოიმარჯვეს და მტერს შაშხანების ცეცხლით შეხვდნენ.

ასე ჩაეფუშათ თეთრებს ჩაპეველებზე მოულოდნელი თავდასხმა.

ამის შემდეგ მებრძოლებმა კიდევ უფრო მეტად შეიყვარეს „პატარა ჩაპეველი“ ლიდა.

მაგრამ ერთხელ მან გააჯავრა ვასილი ივანეს-ძე: ლიდას სალაშქრო ხის კოვზი გაუტყდა. არც აცივა, არც აცხელა, შეირბინა ვილაც კაზაკის დაცარიელებულ სახლში, დაითრია მაგიდიდან კოვზი და დაბრუნდა ბატალიონში.

სადილად რომ დასხდნენ, ჩაპევემა ჰკითხა:

— საიდან გაქვს ასეთი კოვზი? მე მახსოვს შენი—ხისა იყო, ეს კი რკინისაა.

ლიდა გაწითლდა.

— ის სახლი ხომ უპატრონოდ არის მიტოვებული, ვასილ ივანეს-ძე. — თქვა მან.

ვასილ ივანეს-ძემ მუშტი დაჰკრა მაგიდაზე და დაუყვირა:

— ცხენზე შეჯექ!

ლიდა ძლიერ ამაყობდა იმით, რომ უმალ შეეძლო ყოველგვარი განკარგულების შესრულება, მით უმეტეს ჩაპევის განკარგულებისა. წამოხტა, გავარდა ეზოში და წუთში უკვე ცხენით მოადგა მოაჯირს.

ჩაპევი აივანზე გამოვიდა, გაჯავრებით შეხედა ლიდას და უთხრა:

— გასწი ახლავე და ეგ კოვზი იქვე დასდე, საიდანაც აიღე. განა ჩაპეველს სხვისი ნივთის მითვისება ეკადრება? იცოდე, ასეთი რამ მეორედ აღარ გაბედო!

ჩაპევი ისე გაბრაზდა, რომ წამოწითლდა კიდევ.

ლიდამ საჩქაროდ გაქუსლა. მოძებნა კაზაკის დაცარიელებული სახლი და კოვზი თავის ადგილზე დასდო.

მას შემდეგ ლიდას არც ერთხელ აღარ ჩაუდენია დანაშაული და „პატარა ჩაპეველის“ სახელს ღირსეულად ატარებდა.

მისი ძმა, გრიშა ლაგუტინიც, ასე თხუთმეტობდებოდა წლის შემდეგ, შევიდა მოხალისედ წითელ არმიის.

თარგმანი როდონ ქორქაიხი



# ჩემი კარგი სტუმარი



მოდრი კახახიძე

ნახატები პ. გულუხაიძის

დედას მოჰყვა, თავის დედას,  
ეს პატარა მშობილი,  
საჩუქრადაც მომიტანა  
ლურჯი ავტომობილი.

საყვარელი ბავშვი არის,  
ქერა, ცისფერთვალეზა;  
ფისუნიაც შეეჩვია,  
უკვე არ ემაღება.

ხატვაც იცის და ზღაპრებიც,  
მოსკოველი ბიჭია.  
წინ ფანქრები რომ დავუწყვე,  
დიდი ამოირჩია.


გვერდით ქალაღს გადახედა,  
ხელში ააფარფატა,

მოეწონა, წინ დაიდო,  
ზედ ვარსკვლავი დახატა.

სულ ერთად ვართ, სულ ყოველდღ  
ჩვენთვის მზე და დარია.  
დედაჩემიც, დედამისიც  
მეგობრები არიან.

მათ მოსკოვში უსწავლიათ,  
დობილები ყოფილან.  
მათმა დობამ პატარებიც  
გულით დაგვაძმობილა.

სულ ერთად ვართ!.. სიმაღლითაც  
სწორედ ჩემი სწორია;  
მე პატარა ბიძინა ვარ,  
ის პატარა ბორია.





# „მ ც ო დ ნ ე“

ოთარი პირველად სკოლაში რომ წავიდა, არც ანი იცოდა და არც ბანი. მასწავლებელმა მის გვერდით გრძელ-ნაწნავებიანი გოგონა დასვა. გაკვეთილის დაწყებამდე ბავშვებმა ახალი წიგნები ამოიღეს და ერთიმეორეს უჩვენებდნენ.

ოთარმაც ამოიღო ჩანაიდან დედაენა და თავის წინ მერხზე დასდო. გრძელ-ნაწნავებიანი გოგონამ შავი წარბები ზევით აწიპა და ისე გადმოხედა ამხანაგს.

— კითხვა იცი?—ჰკითხა მან ოთარს.

— არა.—უპასუხა ოდნავ შემკრთალი ხმით ბიჭმა.

— არა?!—გაიკვირვა გოგონამ,—მე კი უკვე ვკითხულობ. აი, ნახე,—და დაიწყო კითხვა:—ია, თითი, საათი. თოხი.—იგი სწრაფად ფურცლავდა წიგნს და სურათების ქვეშ მიწერილ პირველ სიტყვას ხმამალლა კითხულობდა. ოთარი პირდაღებული შესტკეროდა მას.

გოგონამ უცებ კითხვა შესწყვიტა და ოთარისაკენ შემობრუნდა:

— არც წერა იცი?

— არა.—დარცხვენით უპასუხა ბიჭმა.

— უჰ, რა უტოდინარი ყოფილხარ!—

გადაიკისკისა გოგონამ.

ოთარი ჩაფიქრდა. იგი მოკრძალებით შესტკეროდა „მცოდნე“ ამხანაგს. „მცოდნე“ კი ცერცვივით ხტოდა აქეთ-იქით. ხან ერთ ბიჭუნასთან მიიჭრებოდა, ხან მეორესთან და ყველას ერთსა და იმავე შეკითხვას აძლევდა:—კითხვა იცი?

ასე შემოიარა „მცოდნემ“ მთელი კლასი.

როცა გაკვეთილები დამთავრდა და ბავშვები სახლებში წავიდნენ, ოთარმა გულში გადასწყვიტა, რომ, ვიდრე კითხ-

ვას არ ისწავლიდა, სკოლაში აღარ წასულიყო. მეორე დღეს ოთარმა რილით აღრე გაიღვიძა, მაგრამ თვალები ისევ დახუჭა.

— პირველკლასელო, ადექი, დაგავიანდებ.—დაუძახა დედამ, მაგრამ ბიჭმა პასუხის ნაცვლად საბანი მაგრად წაიხურა თავზე.

— ადექი, ოთარ, რა დაგემართა?—დააღვა თავზე დედა და საბანი გადახადა.

— მე... მე აღარ წავალ სკოლაში.—წაიბუტბუტა ოთარმა და საბანს ხელი ჩაავლო.

— როგორ თუ არ წახვალ!—გაჯავრდა დედა.

— ავღებები, მაგრამ სკოლაში მაინც არ წავალ.—ჯიუტად გაიმეორა ბიჭმა.

— ვახსოვს, სულ თითებზე ითვლიდი ღლეებს, ისე მოელოდი სწავლის დაწყებას და ახლა რა მოგივიდა?—შეეკითხა გაოცებული დედა.

ოთარმა თავი ჩაღუნა და გულამომჯდარმა თქვა:

— სკოლაში როგორ უნდა ვიარო, რომ არათფერი ვიცი. ჯერ წაკითხვა მასწავლავ და მერე წავალ.

— ერიპა, — გვეცინა დედას, — თუკი ყველაფერი გეცოდინება, მაშინ სკოლაში რალა გინდა.

— შენ ვერე გგონია, — სლუკუნებდა ოთარი, — ჩემს გვერდით რომ გოგო ზის, აბა იმან რომ ყველაფერი იცის?

— ნუ გეშინია, სკოლაში ანბანს თავიდან დაგაწყებინებენ და ბოლომდე კარგად შეისწავლით. თუ ყოჩაღად იქნები, ნახავ, რომ იმ შენს „მცოდნე“ ამხანაგს დაეწევი და გაასწრებ კიდევ. — თქვა დედამ.



\*\*\*

ოთარი სკოლაში ყოველდღე ახალ-ახალ ასოს სწავლობდა. როგორც ჩიტი საკენს, ისე დაეძებდა ბეჭეითი ბიჭი ნაცნობ ასოებს საბავშვო ჟურნალებში და წიგნებში.— აგერ მ-ანი, აგერ ო-ნი, აგერ ს-ანი!— გაიძახოდა ხოლმე გახარებული ოთარი.

მისი „მცოდნე“ ამხანაგი გოგონა კი თავს არ იწუხებდა დავალებების შესრულებით. მთელი დღე კაჭკაჭივით გაიძახოდა:— მე ეს ვიცი.. მე ეს ძალიან კარგად ვიცი!

გავიდა ორი თვე სწავლის დაწყებიდან და „მცოდნე“ თანდათანობით ჩამორჩა. სხვა ბავშვები ახლა იმაზე უკეთესად კითხულობდნენ და სწერდნენ.

\*\*\*

თბილი და მზიანი დღე იყო. საკლასო ოთახის ღია ფანჯრებიდან ბავშვები ხედავდნენ, თუ როგორ ცვიოდა ყვითელი ფოთლები ხის ტოტებიდან. გაისმა ზარის წკრიალი და მასწავლებელიც შევიდა.

— დღეს „წიწილა“ წავიკითხოთ, ბავშვებო! — თქვა მან, — აბა! გადაშალეთ წიგნები.

ბავშვებმა დედაენა მოიმარჯვეს.

— ლალი! — მიმართა მასწავლებელმა „მცოდნე“ გოგონას, — დაიწყე.

ნახატის ქვეშ ლალიმ ჩვეულებრივად სწრაფად წაიკითხა წარწერა, მაგრამ შემდეგ კი გაუჭირდა. იგი ცდილობდა დაუმარცვლაუდა, ერთბაშად წაეკითხა სიტყვები. ერთ სიტყვას კარგა ხანს დააჩერდა. ეტყობოდა, ძალიან უჭირდა ამოკითხვა.

— აბა! ახლა შენ განაგრძე, — უთხრა მასწავლებელმა ოთარს. ოთარმა საჩვენებელი თითი მარდად გააყოლა ნაცნობ სტრიქონებს და თვალის დახამხამებაში ამოიკითხა: — წიგ-ნი, უშ! — აღტაცებით წამოიძახა მან, — წიგნში წიგნი სწერია წიგნში დედა სწერია, რა კარგი ყოფილა წიგნი!

მასწავლებელს გაეღიმა, „მცოდნე“ გოგონა კი პირდაღებული შესცქეროდა ოთარს, ცოტა არ იყოს, უკვირდა კიდევ თუ როგორ თამამად კითხულობდა და მსჯელობდა ეს „სუცრდინარი“ ბიჭი.



# ერთი, ორი, ხუთი

ზ. შარაზალიშვილი

ავთანდილი „დიდი“ გახდა,  
აქვს ჩხრიალა, ბურთი,  
თვლაც ისწავლა, დედიკონას  
თითებს ხშირად უთვლის,  
თუ არ გჯერათ, მოუსმინეთ:  
— ერთი, ორი, ხუთი!..

ხუთის მერე „შვიდს“ იძახის,  
მერე ამბობს—„ათი“—,  
სულ დიდი რომ გაიზრდება,  
უკეთ მაშინ დათვლის.



თამაზ ჭილაძე

\* \* \*

ნანამ მატყლი ძირს გაშალა,  
გადაკარგა სადღაც ჯარა,  
იტრიალა,  
იტრიალა

და ბებიეო გააჯავრა.  
ერთი, ორი, სამი, ოთხი  
ჩამწყრივა დედოფლები;  
— ახლა ბებო ვერ მიპოვნის—  
მეც თოჯინა ვეგონები...



ბ უ რ ბ ა რ ე დ ი ბ ა ვ შ ვ ე ბ ი





# ბზრიალები ხუთ ბროშად

საბავშვო ალბომი

ბზრიალები ალ. ბანძელაძისათვის

სალამო ხანზე, როდესაც ქუჩები ჯერ ისევ სახსე იყო ხალხით, გზაჯვარედინზე ბავშვიანი ქალი გამოჩნდა, მას შავი ჩაღრი<sup>1)</sup> უფარავდა სახეს და მხოლოდ ნაღვლიანი, დაღლილი თვალები მოუჩანდა. პაწია ბიჭი მის გვერდით ჩაცუცქდა და ტომრიდან სათამაშოების ამოღებებს შეუდგა. ეს მისი გამოთლილი ბზრიალები იყო: ჯოხს ბოლოზე ორი ბორბალი ჰქონდა დამაგრებული, მას ზემოთ განივ ღერძზე ისევ ბორბალი და ზედ მოწნული ფანჯატური. ქვედა ბორბლებს თუ დაატრიალებდით, ზედა ბორბალიც დატრიალდებოდა და ფანჯატური სწრაფად ბრუნავდა.

ბავშვმა სათამაშოები ტომარაზე დააღება, ერთი მათგანი ხელში აიღო და სუსტი ხმით დაიძახა:

— ბზრიალები ხუთ გროშად! ბზრიალები...

კარგა ხანს იდგა დედა-შვილი ასე, ქუჩები კი ნელ-ნელა ცარიელდებოდა.

ბიჭუნა ასე რვა წლისა იქნებოდა, მაგრამ ერთი შეხედვით ექვსი წლისას ჰგავდა, იმდენად სუსტი და პატარა იყო. მისი წვრილი, ათრთოლებული ხმა პატარა გოგონას ლაპარაკს მოვგონებდათ. ბიჭუნა დედამისთან ერთად გაუნძრევლად იჯდა ქვაფენილზე და გასაყიდ ბზრიალებს დასცქეროდა.

გზაჯვარედინის მახლობლად დიდი მალაზია იყო, მისი უშველდებელი უშუიდან ათასფრად ელაგდნენ კრელი ყელსახვევები, შალის ტანსაცმელი, ხელთათმანები, ლამაზი ფესსაცმელები და მრავალი სხვა ნივთი. მალაზია უამრავი ელნათურით იყო გაჩაღებული. ქვაფენილს კი ფარნების მბუყტავი შუქი ოდნავ ანათებდა.

გამვლელ-გამომვლელებს მეტად იზიდავდა ამ მალაზიის მდიდრული ვიტრინები და ამიტომ ბავშვებიც კი გულგრილად არიდებდნენ თვალს ხისაგან გამოჩორკნილ ბზრიალებს.

მაგრამ პატარა ბიჭუნა თითქოს ვერ ამჩნევდა ამას და ყვირილს განაგრძობდა: — ბზრიალები ხუთ გროშად, ბზრიალები! იყიდეთ ბზრიალები!

დიდი მსუბუქი ავტომანქანა შეჩერდა მალაზიასთან. იქიდან მდიდრულად ჩაცმული ქალბატონი გადმოვიდა. თან ასე რვა წლის ბიჭუნა მოჰყავდა, რომელიც თეთრ ბერეტსა და მოხდენილ წამოსახამში იყო გამოწყობილი. ისინი მალაზიაში შევიდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ წამოსახამიანი ბიჭი ქუჩაში გამოიქრა, ალბათ, მას მალაზიაში არაფერი მოეწონა, და სწორედ ამ დროს გაისმა მის გვერდით: „ბზრიალები ხუთ გროშად!“

ბიჭმა მიიხედა, შავებში ჩაცმული ქალი და იქვე ჩაცუცქული პატარა გამყიდველი შენიშნა და მათთან მიიბრინა.

— ა-ა-ა? ბზრიალებს ყიდი?

გამყიდველმა ბიჭმა ამხანაგი რომ დაინახა, სიცილით გამოაჯავრა:

— ა-ა-ა,— და დაუმატა:— დედას არ შეუძლია ხმამაღლა ძახილი, ამიტომ მასთან ერთად მოვდივარ ხოლმე.

წამოსახამიანმა ბიჭმა ხელი ჯიბეში ჩაიყო, მუკით კამფეტი ამოიღო და ამ-

1) ჩაღრი — ქალის პირსაბურავი თურქეთში.



ხანაგს შესთავაზა. როცა თვითონაც კამფეტით პირი გამოიტენა, შეეკითხა:

— კი მაგრამ გაკვეთილებს როდისღა ამზადებ?

— სკოლიდან მოვალ თუ არა, მაშინვე. საღამოობით მეცადინეობა არ შემიძლია, ნავთი ახლა ძვირია...

— მასწავლებელმა ხომ არ დაგინახა? ეს-ეს არის, აქ იყო.

პატარა გამყიდველს პასუხი არ გაუცია, ვიღაც ბავშვებიანი ქალი დაინახა და ყვირილი მორთო: — ბზრიალები ხუთ გროშად!

ხელიხელჩაკიდებული ბიჭები ერთად იდგნენ. პატარა გამყიდველის დედა სევდით შეჰყურებდა მათ.

— არითმეტიკული ამოცანა ამოხსენი? — შეეკითხა წამოსასხამიანი ბიჭი ამ-

ხანაგს და დაუმატა: — მე დღეს ვეწვალე, ვეწვალე და არაფერი გამომივიდა, სალამოს მამას ავახსნევენებ.

— მამა რად უნდა შეაწუხო? ადვილი გამოსაცვანია! — თქვა ბზრიალების გამყიდველმა და ამხანაგს ასწავლა, როგორ უნდა ამოეხსნა დავალება. ახსნაში ისე გაერთო, რომ ბზრიალებიც კი დაავიწყდა.

— ყური მიგდე, — უთხრა წამოსასხამიანმა ბიჭმა, — მე მასწავლებელს ვთხოვ, ერთ მერხზე დაგვსვას, ერთად ვიმეცადინოთ ხოლმე.

ამ დროს მალაზიიდან ნავაქრით დატვირთული ქალბატონი გამოვიდა, მასთან მანქანის მძღოლმა მიიღბინა, ნავაქრი მოწიწებით ჩამოართვა და მანქანაში მოათავსა. ქალბატონმა ერთად მოსაუბრე ბიჭები რომ შენიშნა, კოპები შეიკრა და მათკენ სწრაფად გაეშურა; წამოსასხამიანმა ბიჭმა დაინახა გაბრაზებული დედა, გაჩუმდა და დაბნეული ღიმილით დაელოდა მის მოახლოებას. მისი ამხანაგიც შიშით გაჩუმდა. პატარა გამყიდველის დედა შემკრთალი უყურებდა მდიდრულ ტანსაცმელში გამოწყობილ ქალბატონს.

მისვლისთანავე ქალი ხელში ჩააფრინდა თავის შვილს და დატუქსა:

— ეს რა ამბავია? ვის ელაპარაკები? მან მხარზე დაჰკრა ქოლგა ბზრიალებს და დაუყვირა: ბის პატარა გამყიდველს და დაუყვირა:

— საძაგელო ბიჭუკა, განა შენ ღირსი ხარ ჩემი ვაჟიშვილის გვერდით იდგე?

შავებში ჩაცმული ქალი უსიტყვოდ იდგა, ხოლო პატარა გამყიდველს თვალები ცრემლებით აევსო. წამოსასხამიანმა ბიჭმა ამხანაგის თვალებზე ცრემლი შენიშნა და გულისწყრომით თქვა: — დედო, ეს ხომ ჩემი სკოლის ამხანავია.

ქალს რისხვისაგან სახე წამოუწიოთლდა და შვილს სიტყვა შეაწვევტინა:

— ხვალე დავრეკავ თქვენთან სკოლაში, მე ვაჩვენებ მათ, როგორც უნდა შეეშვან კლასში ასეთი მათხოვრები!

მეგრე შვილს ხელი მოჰკიდა, ძალით წაიყვანა, თან ისეთი ზიზლით გადმოხედა პატარა გამყიდველს და მის დედას, თითქოს მათი გაქრობა უნდოდა.

მისი შვილი უკან-უკან იყურებოდა, ხედავდა ამხანაგის ცრემლით სავსე თვალებს და თვითონაც იცრემლებოდა.

პატარა გამყიდველი კი სუსტი აკანკალეული ხმით გაიძახოდა:

— ბზრიალები ხუთ გროშად... ბზრიალები!

თარგმანი თინა სულაშვილისა



# შეხეთ ღიას ეშმაკობას

ყველამ იცოდა, როგორ ფეხაკრეფით გაიპარებოდა ხოლმე დედა სახლიდან, რომ თავისი ახრებულნი გოგონა მაგდა არ გასტირებოდა.

მაგდა, როგორც კი თვალს მოჰკრავდა დედას საგარეო ტანსაცმელში, ისეთ კვილს ატეხდა ხოლმე, რომ ყურთაშენა აღარ იყო.

აღარც ბებიას ხვეწნა ეყურებოდა, აღარც დედის თხოვნა...

იმ საღამოსაც მაგდა ეზოს კარამდე გაჰყვა დედას ტირილით. კაბის კალთისათვის ხელი მაგრად ჩაებლუჯა და გაჰკიოდა, მეც წამიყვანეო. დედა ხან მოეფერა შვილს, ხან დატუქსა, მაგრამ ვერა გააწყო რა.

მაგდა სულ გადაირია. მიწაზე გაიშლართა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ფეხებს იქნევდა.

— წამო, გენაცვალოს ბებო, წამო, ჩემო ჩოთავ, — ემოდარებოდა დიდება და ცდილობდა მაგდას წამოყენებას. აივანზე გამოსული მაგდას მეზობელი პატარა ღია გაცეხული შეპყურება და ქირვეულ გოგონას.

გავიდა რამდენიმე დღე. მაგდა და ღია ერთად თამაშობდნენ სახლობანას.

— ღია, მე დედა ვიქნები... შენ ჩემი შვილი იყავი... მაგდა ვერქმევა... რასაც გეტყვი, ყველაფერი უნდა დამიჯერო... თორემ აღარ ვითამაშებ შენთან. — გააფრთხილა მაგდამ ღია.

— დაგიჯერებ, მე ჩემს დედიკოს ყველაფერს ვუჯერებ. — შეჰპირდა ღია.

მაგდამ „შვილი“ სასაუბროდ დასვა; თვითონ ვითომ კაბა გამოიცვალა და წასვლა დააპირა.

— დედიკო, სად მიდიხარ? — დაეკითხა ღია.

— საქმე მაქვს, გენაცვალე! — მიამსგავსა თავის დედის ხმას მაგდამ. — აბა,



შენ იცი, ვიდრე მოვალ, როგორც კვიანად იქნები...

— დედიკო, მეც წამიყვანე! — სთხოვდა ღია.

— საქმეზე მივდივარ, განა სასიერნოდ? — გაიმეორა მაგდამ თავისი დედის სიტყვები.

— არა, უნდა წამიყვანო! — ატირდა ღია.

მაგდამ „შვილი“ დატუქსა. ღია თავისას არ იშლიდა... იჯდა იატაკზე და ფეხებს იქნევდა.

— არ მინდა შენთან თამაში! — გაჯავრდა მაგდა, — თამაშობაში ვის გაუგონია ტირილი?

— მერე მე ხომ მართლა არა ვტირი? — ფეხზე წამოხტა ღია, — მე მაგდა არ დამარქვი? შენ კი ასე გაეტირები ხოლმე დედას...

ამას კი არ მოელოდა მაგდა. გაბრაზებულმა სულ აურ-დაურია ღიას სათამაშოები. თამაშობაც ჩაშალა, მაგრამ ის დღე იყო და ის დღე, მაგდა დედას აღარ გასტირებია.

# პირველკლასედი გოგონა

## სკოლისაკენ



სკოლისაკენ რომ გავრბივარ  
დილას, გულის ფანტკალით,  
ვინც მიყურებს, ეცინება:  
„ჩანთისხელა არც არის.“

მიწას არც კი აჩნიაო,  
ერთხელ ასე შემნიშნეს.  
პატარა რომ ვიყო მართლა,  
სკოლაში ვინ შემიშვებს?!

## სკოლაში

საშინაო დავალება  
დავაშადაე უცბად წუხელ;  
მასწავლებელს გაკვეთილი  
სხაპასხუპით ვუპასუხე.

მომიწონა, მითხრა: --ნეტავ  
შენისთანა ბევერი მყავდეს.  
ძალზე კარგი გოგონა ხარ,  
ტიტინი რომ არ გიყვარდეს!



## ფიზკულტურის გაკვეთილი

ერთ აღგიღზე ვერ ვჩერდებით,  
სხვებზე მეტად ანკობს გია.  
ვარჯიშს, აბა, ვინ დაეძვებს,  
სიარულიც არ გვეკონია.

უთავბოლოდ მიაბიჯებს  
იქით შოთა, აქეთ ლია.  
მარჯვენა და მარცხენა ხომ  
ერთმანეთში ავცვრია.







— ჰეი, ბიჭებო. ნახეთ, როგორი ხე დაუხატავს მოთარს! ზედ საზამთროები ასხია! — წამოიძახა ვიამ და მოთარის რვეული ჰაერში ააფრიალა.

— საზამთრო კი არა, კომბოსტოა! — ხარხარებდა კოტე.

— არა, ბიჭებო, ნესვებია! — თქვა მზიამ, — ხომ ხედავთ, ყვითლად შეუფერადებია.

— არც საზამთროა, არც ნესვია და არც კომბოსტო, ეს პურის ხეა! — თქვა მოთარმა.

— პურის ხე? — გაიოცეს ბავშვებმა. — როგორ? ზედ გამომცხვარი პური ასხია? ამ დროს მოთარში საბავშვო ბაღის მასწავლებელი დეიდა ქეთო შემოვიდა.

— აბა, ვინ რა დახატა? მაჩვენეთ, — თქვა მან.

— ჩვენ ყვავილები დავხატეთ. — წამოიძახეს მზიამ და ქეთინომ.

— მე — ჩემი კრელკაბიანი თოჯინა. — თქვა ნუნუმ.

— მე — ტანკისტი, — დინჯად დაუმატა გურამმა. — მოთარმა კი, იცით, რა დახატა, დეიდა ქეთო? პურის ხე!

მასწავლებელმა მოთარს ნახატი გამოართვა. ყურადღებით დაათვალიერა და თქვა:

— ტყუილად იცინით, ბავშვებო, ასეთი ხე მართლაც ხარობს ცხელ ქვეყნებში. შენ საიდან გაიგე ასეთი ხის შესახებ?

— მამას ერთი წიგნი აქვს, შიგ ბევრი მცენარე მხატია და პურის ხეც იქიდან ვიცი.

— სწორია, ამას მართლაც პურის ხე ჰქვია, — თქვა დეიდა ქეთომ, შემდეგ ბავშვები გარს შემოისხა და ასე მოუთხრო:

— იმ მხარეში, ტროპიკული ქვეყნები რომ ჰქვია და სადაც დიდი სიცხეები იცის, ბევრი უცნაური მცენარე ხარობს, მათ შორის პურის ხეც; ეს ხე ტანმაღალია, თხუთმეტი-ოცი მეტრისი-

მაღლისა. საკვირველი ყვავილები იცის: ზოგი სიმინდის ტაროს ჰგავს, ზოგი მძივების ასხმულას. ჩვენებური ხე ჯერ ყვავილს გამოიტანს, მერე ყვავილები დასცვივა და მის ადგილას ნაყოფს გამოიღებს. პურის ხის ყვავილები კი იზრდება, იზრდება და თვითონვე იქცევა ნაყოფად. ზოგი ნაყოფი ოც-ოცდახუთ კილოგრამს იწონის.

— უჰ, რამოდენა ყოფილა! მერე, ტოტები როგორღა უძლებენ? — იცითხა ვიამ.

— აი, სწორედ ამიტომ არის, რომ ეს უცნაური ნაყოფი ხის ტანზე და მსხვილ ტოტებზე არის მიმაგრებული.

— პურის ხე რატომ ჰქვია, დეიდა ქეთო? — შეეკითხა მზია.

— იმიტომ, რომ იმ ქვეყანაში ღარიბი მოსახლეობისათვის პურის მაგივრობას ასრულებს: ამ ნაყოფის გულს კარტოფილის და პურის გემო აქვს. პურის ხის ნაყოფი გარედან დახორკლილია და ამ ხორკლებში თესლია მოთავსებული. ეს თესლიც გემრიელი საქმეელია, — ჩვენებურ წაბლს წაგავს.

— კი მაგრამ ასე პირდაპირ მოწყვეტენ და შესჭამენ იმ ნაყოფს? — არ ისევნებდა ვიამ.

— არა, — მიუგო მასწავლებელმა, — მკვახე ნაყოფს თხელ ნაჭრებად სჭრიან, თავისივე ფოთლებში ახვევენ, სდებენ მზისაგან გახურებულ ქვებზე და პურივით ცხეება. მწიფე ნაყოფს კი ოროში ჩაწყობენ, იქ დამყავებას იწყებს და პურის ცომივით აფუფდება; გაასუფთავენ, მერე ცხელ ლავაშებად აცხობენ. თვითონ ხეც ძვირფასი რამ არის, — განაგრძო დეიდა ქეთომ, — მისი წვრილი ტოტებისაგან საუკეთესო კალათებს, სკამებს, მაგიდებს და წიგნის კარადებს წნავენ. ქერქისაგან კი წებოს ღებულობენ. მოთარს გული სიხარულით აევისო, რომ მისი ნათქვამი გამართლდა.






პირილ სულაქარი

ნახატები ი: ბაბაშვილისა

გულთეთრას ჰყავდა ორი ბაქია,  
ორივე იყო მეტად პაწია,  
უვლიდა, შვილებს ღამეს უთევდა,  
მზრუნველი ღვდა იყო გულთეთრა.  
ამ ბაქიების საყვარელ მამას  
მგელმა მზიანი ღღე დაულამა.  
ღვდას ახსოვდა ღღეები მწარე  
და არ უშვებდა ბაქიებს გარეთ.

\* \*


გაიარა ღრომ,  
ახმაურდნენ ბაქიები:  
— აღარა ვართ ხომ  
ახლა უკვე პაწიები?  
და მიმართავს ღვდას  
ერთ საღამოს მარდო:  
— თუნდაც ვნახო მგელი,  
შევებმები მარტო.—  
ვაქაცია ვითომ,  
ისე უსმენს ცქვიტო.  
მაგრამ ღვდა ფრთხილობს:  
— არ გაბედო, შვილო,  
ტყეში წასვლა მარტო.  
იქ მგელია ავი  
და ხახა აქვს ფართო,  
ღამესავით შავი... —  
მარდო განა უსმენს,  
ტყეს ფანჯრიდან უმზერს.




\* \*

ღილით აღრე ადგა მარდო,  
ძმასთან ფრთხილად მივიდა.  
— გინდა, ძმაო, ახლა მარდად  
გავიპაროთ შინიდან? —  
ფიქრი არც კი დასჭირდათ,  
გაღიპარნენ ფანჯრიდან.

\* \*



მიღიან და მიღიან,  
ტყე კი მეტად ღიღია...  
ითამაშეს ბევრი,  
მთლად აიკლეს ტყერი.  
ჰამეს მარწყვი მწიფე,  
სოკოები კრიფეს.  
ხტიან მთელი ღღე,  
რა კარგია ტყე!



\* \*

მარდო მიჰქრის მარდად,  
დამშობილდა ქართან.  
ჩქარა! ჩქარა! ჩქარა!  
ოფლად გაიღვარა...  
ხის ფულუროს ამჩნევს,  
შიგ შეძრომას არჩევს.  
მორბის მგელი მისკენ,  
პირი სტაცოს, დროა!  
მაგრამ მარდო არ ჩანს,  
მხოლოდ ფულუროა!

\* \*

ტყეში სახლი ნახეს  
მარტომარტო მდგარი,  
გაუბრწყინდათ სახე,  
გამოაღეს კარი.  
მარდო შედის ცეკვით  
და მგლის ორი ლეკვი  
უბრიალებს თვალებს.  
მარდო ყვირის:—ცეკიტო,  
აქეთ მოდი მალე!—  
ვაჟაკია ვითომ,  
ისე შერბის ცეკვიტო.  
გადაწყვიტეს ძმებმა  
მგლის ლეკვებთან შებმა.  
ისე დასცხო ცეკვიტომ,  
გაუკვირდა თვითონ.



\* \*

ამ დროს მოესმათ ღრიალი  
ძლიერი, ომახიანი.  
სახლში რომ მორბის—მგელია,  
ლაშები სისხლით სველი აქვს...

\* \*

გარბის ცეკვიტო, მისდევს ბილიკს,  
ვაჰმე, მგელმა გაჰკრა კბილი...  
თუმცა ცეკვიტო რის ცეკვიტოა,  
თუ მოხვდება მგლის ხახაში!  
მგელი ვანზე დაიტოვა,  
გადაეშვა დაბლა ხრამში.

\* \*

ცეკვიტო შინისკენ კოკლობით მოდის,  
ყავარჯენი აქვს ტირიფის ტოტის.  
—მარდო სად არის, სად არის მარდო?  
—მარდო ტყეშია სულ მარტომარტო.  
რაც მოხდა, ცეკვიტომ უამბო დედას,  
მარდოს საძებნად წავიდნენ ერთად.




\*\*

ფულუროდან ამ დროს  
იხედება მარდო.  
—ცოცხალი ვარ, დედა,  
ნუთუ ვერა მხედავ! —  
გამოხტება უცებ,  
დაუკოცნის ყელს.  
ცქვიტო ცრემლებს იწმენდს,  
მიეყრნობა ხეს.

\*\*

ეჰ, ტყე მეტად დილია,  
მიდიან და მიდიან,  
მარდო როგორ მონახონ,  
ტყე ხომ მეტად დილია!  
ეს რა არის?—ბეწვია!  
მწუხარება ეწვიათ:  
დააკვირდა გულთეთრა,  
ეს ხომ მარდოს ბეწვია?!  
მგელი ავზე ავია,  
მარდო შეუჭამია?




\*\*

ეუბნება დედას მარდო:  
—ფულუროში ვიჯექე მარტო  
შიგ შემოპყო მგელმა ცხვირი,  
გამოუჩნდა ხახა ფართო.  
ამ დროს მართლა გავიგონე,  
მგლის ღრიალმა შესძრა მიწა.  
ერთხელ შეხტა, გადაბრუნდა;  
აქვე ხის ქვეშ უხმოლ მიწვა.  
გავიხედე გარეთ მალეით,  
მონადირეს მოვკარ თვალი.  
გადაედო მხარზე მგელი,  
მიდიოდა გზაზე მღერით.

\*\*

ვიწრო ბილიკზე გულთეთრა მიდის,  
მარდო და ცქვიტო მისდევენ რიდით.  
—კიდევ გაბედავთ, ცქვიტო და მარდო.  
მთაში გაპარვას და წასვლას მარტო?  
—ჩვენ აღარ წვავალთ, დედიკო, არა,—  
მარდო და ცქვიტო ამბობენ წყნარად.



ცდაზე: „ჩამოვიდა არდადეგებზე“. ნახატი ფ. რემეტიაკოვისა

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი,  
კ. გოგიაშვილი, მაყვალა მრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგალიტი, ი. სიხარულაძე, ნ. უნაქოშვილი  
შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) **გაგონების ოცდამეცხე წელი** **ვანი 2 მან.**

А И Л А—железячий детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 2, февраль, 1955 г. Тбилиси, Ленина 14.  
საბლტკაში. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 3 საბო. ტელ. 3-57-38 გაბოზე. მუც. № 13 სტამბის მუც. № 1000/40  
ტიბიჯი 19.000 კუ შიგი! ტელტი ანუბორია პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, კერძო დაბეჭდილი ოუსების  
სისტემისმანქანაზე „პარია ვოსტოკას“ სტამბაში.